წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ხარასკევი 29 ივლისი

# სამშობლო

№ 417

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელ 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მოსულ განცხ დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ქვრივი, კნ. ოლია ვარლამის ასული ერისთავისა, შვილები მისი: ვერა, მარიამ, გიორგი და დავით ალექსანდრეს ასულნი და ძენი ერისთავები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობებს გარდაცვალებას პირველის საყვარელი მეუღლისას, ხოლო დანარჩენი ძვირფასი მამისას

თავ. ალექსანდრე ნიკოს ძის ერისთავისას.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, თბილისის ქუჩა, სახლი ბარათაშვილისა. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.

2—261—2.

სასწავლებლის დახურვის გამო

იყიდება

სასკოლო სკამები (პარტები), სკოლის სხვადასხვა მოწყობილებანი და

საწერი მანქანა

მსურველს ნახვა და პირობების გაგება შეუძლია თბილისის ქუჩაზე, გიორგი გურგენიძის სახლში.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 28 ივლისიდან ახალი პროგრამა

შკუ მიმაბდო, გასთელა ვარდი.

ძლიერი დრამა 3 ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

ქრონიკა გომონი. მიმდინარე ამბები.

უბინაო კაცი — ორ აზროვანი ფარსი, 2 ნაწილად. საბუროვის თეატრის მსახიობთა ქ-ნ დუნაევის და ბ-ნ ვერნერის მონაწილ.

იძლევა იჯარით

ჩემ მიერ იჯარით აღებული

საღორიის აგარაკზე **საეზოვე მიწა** ორასი კვად. საჟენი, აქვე გაშენებულია ასი ძირი კარგი ჯიშის ნაყოფიერი ვენახი. ეზო მაღალი ღობითაა შემოკავებული.

პირობების გაგება შეიძლება, პ. ფერაძის სტამბაში,

**ექიმი** ა. მ. ასათიანი. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ექიმი** ი. ჩარექიშვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათ მყოფებს.

მისამართი: ლვოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.

2 გოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

ბრიუსელის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტი

აძლევს გაკვეთილებს

ფრანგულ ენისას.

იკითხეთ „სამშობლოს“ რედაქციაში.

დ. ლაილაში.

კბილის ექიმი

ანნა პარმენის ასული ებანოიძე

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს. სახლი ნესტორ კაჭკაჭაშვილისა.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. **შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის.** ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედაქც.

ვიყვან მოწაფეებს ყველა კლასებისათვის მოსამზადებლად და განსაკუთრებით აფიცრების შკოლებისათვის ხელმისაწდომ ფასებში.

ნახვა დილის 8—საღამოს 6 ს-მდე. აბორინის ქუჩა, სახლი დემიდოვის, სტუდენტი

244 ა. ზ. თელაია. თვ.

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თუმღორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

28 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება:

გამლილ ადგილზე

ოსტროვსკის კომედიის მიხედვით ქ-ნ ნილისენკოს, ორლოვის და ბ-ნ ბაკშეევის და პანოვის მონაწილეობით.

ცნობილი სასიმო.

სახუმარო.

## გაზ. „სამშობლოს“ რედაქცია და კანტორა გადავიდა იქვე ახლოს, თბილისის ქუჩ., კნ. მიქელაძის სახლებში ფოტოგრაფიის გვერდით.

რედაქცია იწვევს გამოცდილ

ქრონიკერს (ახალი ამბების შემკრებს)

ბეჯითი მოამბე დაიმუშავებს თვეში 60—100 მანეთამდე და მეტსაც.

იყიდება.

დაბა ხონში იყიდება სამოსახლო ადგილი

სივრცით დაახლოვებით 1500 საჟენი. სემინარიის გვერდით. პირობების გაგება შეიძლება ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი, № 46.

256

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.**

**დასავლეთის ასპარეზი**

**პეტროგრადი**, 26 მკათათვე. ოფიციალი. რუსეთის ასპარეზი. მდ. დნესტრის სამხრეთით რუსის ჯარის წინსვლა ვითარდება.

რაზმები მტერს ფეხ და ფეხ მისდევენ. ჩვენმა ჯარმა ბრძოლით აიღო ქალაქი ნიჟნიუვი, სოფ. ბრატიშუვი, პალახიჩი, ნადოროჟნი, ჩერნოლოზცე, კრჟივოტულანოვე და დაბა სტინია და ამგვარად მდ. ვორონას მარცხენა მხრით მიუახლოვდა. ამ მდინარეზე მდებარეობს ქ. ტისმენიცა. უკან დახევისას მოპირდაპირის მხრიდან აფეთქების ხმა მოისმოდა. ალბად მტერმა ხიდები ააფეთქა.

ტყვედ წამოყვანილთა რიცხვი და დავლის რაოდენობა ჯერ გამორკვეული არ არის.

ამ ბრძოლაში ჩვენმა ჯარმა დაიპყრო მიდამო, სივრცით 160 კვ. ვერსი.

**პეტროგრადი**. 26 მკათათვე. ოფიციალი. რუსეთის ასპარეზი. მდ. სერეტზე ჩვენი ჯარი კვლავ წინ იწევს და დაპყრობილ ადგილებს ამაგრებს. ამ მიდამოებში 22 დან 24 მკათათვემდის საერთო რიცხვი ტყვეებისა შემდეგია: 166 აფიცერი და 8,415 ჯარის კაცი 4 ზარბაზანი, 19 ტყვიისმფრქვეველი, 11 ყუმბარის მტყორცნელი და ნაღმის მტყორცნელი და სხვა მრავალი საომარი მასალა. მდ. სტოხოდის ბრძოლის ხაზზე სტობიროვას მიდამოებში ღამე ავსტრიელების ერთი რაზმი თხრილებიდან ამოვიდა, რუსეთის თხრილებს მიუახლოვდა და ხელებ მაღლა აწეულმა ტყვედ დანებების სურვილი განაცხადა. მათ რუსების ბატალიონის უმფროსი პოლკოვნიკი სტეფანენკო მიუახლოვდა მაგრამ ავსტრიელებმა იგი მოჰკლეს ჩვენმა მსროლელთა რაზმმა ავსტრიელების რაზმი ამოსწყვიტა. მდინარე დნესტრის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა 25 ვერსის სივრცეზე ტისმენიცის მიმართულებით შეტევა დაიწყო, მტერს თხრილები მიატოვებინა და გაირეკა. ჩვენ იერიშების წყალობით მტერი მთელ ამ ასპარეზზე უკუ ვაქციეთ და ბრძოლით ქ. ტლუმაჩემი. დნესტრის აღმოსავლეთი მიდამოები და კოლომი-სტანისლავის რკინის გზის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სიმაღლენი ავიღეთ. ჩვენი იერიში საარტილერიო ბრძოლით დაიწყო: ჩვენი ზარბაზნები მოწამლულ ჰაერით გატენილ ყუმბარებს ესროდნენ მტრის თხრილებს მოპირდაპირემ ვერ გაუძლო ჩვენს იერიშებს და არტილერია მიატოვა. ჩვენი ცხენოსანი რაზმები უწესრიგოდ ლტოლვილ მტერს ფეხდა-ფეხ მისდევენ. ამ ბრძოლებში ერთმა ჩვენმა მამაცმა დივიზიამ 2000 გერმანელი წამოიყვანა ტყვედ და მრავალი ტყვიისმფქვეველი და რამდენიმე ზარბაზნი ხელთ იგდო ტყვეთა რიცხვი თანდათან მატულობს მაგრამ საერთო რიცხვი ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის. ამგვარად გენ. ლეჩიცკის მამაცმა ჯარმა ამ თვალსაჩინო გამარჯვებით ერთხელ კიდევ ისახელა თავი.

**პარიზი**, 25 მკათათვე საღამოს ოფიციალი ცნობა, სომმი ჩრდილოეთით ჩვენმა, ჯარმა ენის ტყის და მონაკიუს ფერმის შუა მტრის თხრილების რამდენიმე წყება იერიშით აიღო. აქ ტყვედ წამოვიყვანეთ 120 ჯარის კაცი და ხელთ ვიგდეთ ათამდის ტყვიისმფრქვეველი. სომმის სამხრეთით ჩვენი არტილერია კარგად მოქმედობს. მაასის მარჯვენა ნაპირზე ჩვენ ბრძოლით ტიომონის სიმაგრეების სამხრეთით წინ წავიწიეთ და 5 ტყვიის მტყორცნელი ხელთ ვიგდეთ. მკაცრი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა სოფ. ფლერში რამდენიმე სახლი აიღო. ვოშაპიტარ-შენუას ბრძოლის ხაზზე სატიკი საარტილერიო ბრძოლაა,

**პარიზი**, 26 მკათათვე, დღის ოფიციალი ცნობა. სომმის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა „139“ სიმაღლის აღმოსავლეთით და გარდეკურს ჩრდილოეთით წინ წაიწია და 40 ტყვე წამოიყვანა. მონაკიუს ფერმის აღმოსავლეთით გერმანელები ორჯელ შეეცადნენ დაკარგული თხრილები უკან დაებრუნებინათ, მაგრამ მათი იერიშები ორჯერვე შევაჩერეთ. აქ ფრანგებმა ტყვედ წამოიყვანეს 2 აფიცერი და 230 ჯარის კაცი. მაასის მარჯვენა ნაპირზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლა განახლდა. დილის 5 საათზე ფლერისა და ტიომონის შუა მდებარე სიმაგრეებს გერმანელები იერიშებით ეკვეთნენ. ჩვენ ტყვიის მფრქვეველთა შემოწმებით მტერს ქარიშხალისებური სროლა აუტეხეთ მაგრამ მიუხედავად ამისა იგი ტიომონს სიმაგრეებიდან ვერ დავძარით. ვოგეზებში გერმანელების რაზმები ჩვენს თხრილებს მიუახლოვდნენ, მაგრამ ტყვიისმფრქვეველთა შემწეობით გავფანტეთ.

**ლონდონი**. 25 მკათ. ოფიციალი. მდგომარეობა უცვლელია. ანკრომისა და სომმის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა არ შეწყვეტილა. პოზიერის აღმოსავლეთით მტერმა კონტრ-იერიშები განაახლა.

**ლონდონი**. 26 მკათათვე. ოფიციალი პოზიერის ჩრდილო აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლის შემდეგ მტერი ჩვენს სიმაგრეებს იერიშით ეკვეთა და დღის 4 საათზე ზოგი თხრილები წაგვართვა, მაგრამ კონტრიერიშების შემწეობით მტერი გავრეკეთ და დიდი ზარალი მივაყენეთ. 2 ძლიერი იერიში დილის 9 ს. მოვიგერიეთ.

**რომი**, 25 მკათათვე. ოფიციალი. ადიჯესა და იზონცოს შუა საარტილერიო ბრძოლაა. ტოფანოს მიდამოებში ჩვენმა ჯარმა მტრის ძლიერი სიმაგრე აიღო. სეტტე კომუნის სიმაღლეებზე მტერმა ნაღმები ააფეთქა და მონტეპოზუბიოს თხრილები დააქცია. ამის შემდეგ იერიშით გვეკვეთა, მაგრამ მოვიგერიეთ. მონფალკონეს მიდამოებში ჩვენმა ქვეითა ჯარმა მტრის თხრილები აიღო. გუშინდელ ბრძოლებში ჩვენ ტყვედ წამოვიყვანეთ 3,600 ჯარის კაცი, 100 აფიცერი, ერთი პოლკის უმფროსი და მთავარშტაბის მაიორი. ხელთ ვიგდეთ ბატარეია სამი ზარბაზნით, რამდენიმე ათეული ტყვიისმფრქვეველი, მრავალი ყუმბარა და საომარი მასალა. ჩვენმა მფრინავთა რაზმმა მტრის რკინისგზის ოპკინოში ყუმბარები დაუშინა. ერთი ჩვენი და ერთი მტრის მფრინავი დაიღუპა.

# ომის დღიური.

**ალმოსავლეთის ასპარეზი.** რუსები კვლავ წინ მიიწევენ. დასავლეთის ასპარეზზე ბრძოლით დაიპყრეს: ნიჟნიუვი, ბრეტიშუვი, პალახიაჩი, ნადოროჟნი, ჩერინოლოზცე, კრაჟივოტულანოვე და სტინია. ავსტრიელები უკვე მდ. ვორონას ხაზს ამოეფარენ. ამ მდინარეზე მდებარეობს ქ. ტასმენიცა, რომელიც მნიშვნელოვანი პუნქტია. რუსის ჯარი წინ მიიწევს აგრეთვე მდ. სერეტზე. სტობიროვას ავსტრიელებმა ერთი რუსის პოლკოვნიკი მოტყუებით მოკლეს. კოლომი სტანისლავოვის რკინის გზის სამხრეთ-დასავლეთით რუსებმა რამდენიმე სიმაღლე დაიპყრეს. აქ რუსებმა 2000 დაატყვევეს.

**კავკასიის ასპარეზი.** მდგომარეობა უცვლელია.

**დასავლეთის ასპარეზი.** მდ. სომმის ჩრდილოეთით ფრანგები მარჯვედ მოქმედებენ. მდინარე მაასის მარცხენა ნაპირზე, ტიომონის სამხრეთით ფრანგებმა წინ წაიწიეს. ფლერი ტიომონის ხაზზე გერმანელებმა იერიშები მიიტანეს. გერმანელებმა მაინც შესძლეს ტიომონის სიმაგრეების დაცვა, თუმცა ფრანგებმა ქარიშხალისებური ცეცხლი გაუჩინეს გერმანელებს. ინგლისელთა ჯარის ბრძოლის ხაზზე გერმანელები ენერგიულად მოქმედებენ და ცოტა ხნით რამდენიმე თხრილიც კი წაართვეს ინგლისელებს.

**იტალიის ასპარეზი.** ცვალებადი შედეგის მქონე ბრძოლებს აწარმოებს ორივე მებრძოლი მხარე.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ბუქარესტიდან მოსულ ცნობებით რუმინიის მიწა წყალზე ბულგარეთის ჰაეროპლანები დაფრინავდნენ.

გაზეთი „რეჩი“ სწერს: გერმანიამ უკვე ჩაყლაპა თავის მოკავშირეები და დღეს მოკავშირეთა წინააღმდეგ ერთი მთლიანი სახელმწიფო გერმანია სდგასო.

მთელი ზამთრის და გაზაფხულის განმავლობაში ოსმალებს ხელ აუღებლივ უმუშავნიათ ეგვიპტესაკენ გალაშქრების მოსამზადებლად და ოსმალურ გაზეთების ცნობით ოსმალთა ჯარი მხოლოდ ბრძანებას ელის რათა სუეცის არხი გადალახონო.

აჯანყებული არაბების მოქმედებას დიდ საგონებელში ჩაუგდია ოსმალეთის მთავრობა: არაბებს მთელი დასავლეთ არაბეთი ელში ჩაუგდიათ.

ოსმალებს ფრაკიიდან ჯარი უმეტესად გალიციაში გაუგზავნიათ, ხოლო ნაწილი კი სამხრეთში.

ავსტრიაში ახალ დამხმარე ძალებს გზავნიან ბრძოლის ველზე.

უკანასკნელ ხანებში გერმანელებს ოცამდე შვეციის გემი დაუტყვევებიათ და თავის ნავთსადგურებში წაუყვანიათ.

ამ დღეებში დამთავრდა სოციალ-დემოკრატების კონგრესი ჰაგაში.

უკვე დაუსჯიათ სიკვდილით ირლანდიის აჯანყებულთა ცნობილი ბელადი როჯერ კეზმენტი.

გერმანელები დიდ ფაცაფუცში არიან. ამ ჟამად ბრძოლის ველზე მისვლის ნება დროებით აუკრძალეს გაზეთების კორესპონდენტებს. გაზეთების სიტყვით გერმანელები დიდლაშქრობისთვის ემზადებიან.

გერმანული გაზეთები აღიარებენ, ბრძოლის თაოსნობა ამ ჟამად მოკავშირეთა ხელშიაო.

გერმანიაში ეხლა ხან დაარსებულ „ზავის ჩამოგდებ კავშირი“-ს მქადაგებელნი ამბობენ, ჩვენ მთავრობას უნდა დავუჭიროთ მხარი და რუსეთი უეჭველად აღმოსავლეთისკენ უნდა დავსწიოთო.

რუმინიის ბევრი ფინანსისტი ღრმად ყოფილა დარწმუნებული, რომ ეკონომიურ დამოკიდებულობის გამოისობით ყოვლად შეუძლებელია რუმინიის ომში ჩაბმაო.

რუმინიაში ფიქრობენ, თუ რუმინია ომში ჩაერევა იგი იტალიასავით მოიქცევა, ავსტრიას შეებრძოლება და გერმანიას ომს არც კი გამოუცხადებსო. ამის მიზეზად გერმანიასა და რუმინიას შორის საიდუმლოდ დადებულ ხელშეკრულებას ასახელებენ.

გერმანელთა ცეპელინები ინგლისს თავს დაჰფრენენ, ცეპელინებიდან მრავალ ყუმბარებს ყრიან და ზარალიც დიდია.

19 ივლისიდან გერმანიიდან სხვა სახელმწიფოებში წასვლის ნებას ძალიან იშვიათად აძლევენ.

გერმანელთა წყალ ქვეშა ნავი სოლომონის კუნძულის მახლობლად შეუმჩნევიათ, შიგ მრავალი ჟურნალისტები იყვნენ. მიუხედავად საუცხოვო ამინდისა, ნავი ზღვის ზედა პირზე მისცურავდა და როგორც სჩანს ახლომახლო საფრთხეს არ ელოდა.

აფრიკის ყოფილ გერმანიის ახალ შენებში ინგლისელმა გენერალმა სმეტსმა მანიფესტაციები მოახდინა, ომის დაწყებიდან ორი წლის შესრულების გამო.

გერმანოფილების რუმინიაში სულის ჩამდგმელი პეტრე კარპი კრიტიკის თვალით შესცქერის ბრატიანოს პოლიტიკას, რის განხილვასაც მან ვრცელი წერილი უძღვნა.

იტალიაში გარდაიცვალა გრაფი დჟენტილონი, კათოლიკეთა პარტის ერთი ბელადთაგანი.

## მცირე შენიშვნა.

გაზეთი „მეგობარი“ ეხება რა ჩვენს გაზეთში დასტამბულს წერილებს ბ-ნ ვლ. ემუხვარისას, ჩვენც გადმოგვწვდა და უნდა გვაგრძნობინოს, რომ ტყვილად ჩავსთვალეთ ბ-ნ ემუხვარის შენიშვნები სამართლიანად. (ხაზი გაზეთისაა).

გაზეთი „მეგობარი“ ბრძანებს:

ბ. ვლ. ემუხვარს და თვით „სამშობლოსაც“, რომელიც ბ. ემუხვარის შენიშვნებს სამართლიანად სთვლის,—ამავე „სამშობლოში“ გადმობეჭდილი „ნუ თუ?“ ილია ჭავჭავაძისა ალბად მოაგონებდა იმ საშინელ და უაზრო ცილისწამებას, რომლის გასაბათილებლად ეს „ნუ თუ“? დაიწერა და რომელსაც მისი ავტორის მკვლელობა მოყვა.

ირ. ევდოშვილს დასელებმა ცილი დასწამეს—მუშათა კლასს უღალატაო და მისი ნაწერები მუშებს წუმპედ მოანათლიეს.

ამან სამართლიანად აღელვა მაშინ „სამშობლო“, რაზედაც დასელებმა ცილისწამებით უპასუხეს მის რედაქტორს ბ. ია ეკალაძეს „ბოლოკისტთა“ მეთაურობა დასწამეს. ეს არ უნდა დავიწყებოდა ბ. რედაქტორს, როცა ვ. ემუხვარის წერილს შენიშვნას უკეთებდა.

სწორედ ამიტომ გადმოვბეჭდეთ „ნუ თუ“? სწორედ ამიტომ აღვაშფოთა ევდოშვილისადმი უდიერმა მოპყრობამ და სწორედ ამიტომ-ვე დიდი სიამოვნებით დავბეჭდეთ ბ-ნ ვლ. ემუხვარის წერილები და დავბეჭდავთ კიდეც!...

## ქართული პრესა.

სოფლის ხალხის გაჭირვების შესახებ „სახ. ფურცელი“ სწერს:

მოლაშქრეთა ჯარში გაწვევის საკითხი ამ ჟამად ქართველ საზოგადოების ურთულეს საკითხს შეადგენს. ყოველი წრე, ოჯახი განიცდის მის გავლენას, დაწესებულებანი გამოსავალს დაეძებენ როგორ და რა ზომებს მიმართონ, რომ გაწვეულ მუშათა ძალების დაკლებით საზოგადოებანი არ დაიკეტოს და ცხოვრების ნორმალური მსვლელობა არ დაირღვეს.

ეკონომიური ჟურნალი „ნოვი ეკონომისტი“ ურჩევს მთავრობას, განსაკუთრებული შეღავათები შექმენი სოფლის მეურნეობისთვის და მობილიზაციას დიდად ნაწილობრივი ხასიათი მიეციო, მთავარ სამხედრო საკრებულოს გუბერნატორთაგან მრავალი შეკითხვა მისდის, გუბერნატორები კითხულობენ ვინ და როგორ ვაიძულოთ მოლაშქრეთა გაწვევის შემდეგ სამსახურისათვის, რომ დაწესებულებანი უხალხოდ არ დაგვირჩესო.

ჩვენ ვიცით, რომ მთავრობა ასეთ მდგომარეობას ყურადღებას აქცევს, ათავისუფლებს სხვა და სხვა მოხელეებს, შეღავათები ეძლევა ერობისა და ქალაქის კავშირის მსახურთ, მასწავლებელთ, ზოგიერთ ქარხნის მუშაკთ, მაგრამ სოფლის ხალხის ჭირ-ვარამზე კი არავინ ზრუნავს.

ოფიციალურ წრეებს უდიდეს საქმედ მიაჩნიათ, თუ მოლაშქრეთა გაწვევა ერთი ან ორი თვით გადადვეს, ჭირნახულს მოიწევენ და შემდეგ ჯარში შეუდგებიან სახელმწიფო ვალის მოხდასაო. ასე გამოდის, თითქოს ჩვენი ხალხი მთელ ზამთარ-ზაფხულობით სახლში უქმად იჯდეს და ზაფხულის ნაწარმოები ჰკვებდეს ოჯახს, რასაკვირველია, ზაფხულის [illegible] ჩვენი გლეხის უდიდესი [illegible] გურია-სამეგრელოშიაც კი იმდენად არ მისდევენ ხორბლის კულტურას, რომ ხალხი მხოლოდ მით ცხოვრობდეს. დიდძალი ფქვილი შემოაქვს საქართველოს რუსეთიდან, ხოლო არის ადგილები, სადაც ზაფხულის მუშაობას მთავარი მნიშვნელობა არ აქვს. არის რაიონები, რომელნიც სპეციალურ მეურნეობას აწარმოებენ, ასეთი რაიონიდან მუშათა გაყვანა კი სრულიად მოსპობს და გაატიალებს ოჯახს.

გურიაში მთელი სოფლები მისდევენ მეთამბაქოებას, სამეგრელოში—დაფნას, ზემო იმერეთში და კახეთში—მევენახეობას, ქართლში მებაღეობას, ყველა ეს კულტურა კი უაღრესად სამრეწველო ხასიათის არის და თუ ზაფხულში მონაგარი ქონება არ იქმნა სათანადოდ გადამუშავებული, დამზადებული, დალაგებული, შემდეგ მთელი წლის ნაშრომი ტყუილად ჩაივლის. მევენახეობის რაიონში საგულისხმიეროა ღვინის დაყენება, რაიცა სერიოზულ და დიდ ჯაფას მოითხოვს: თუთუნის მოკრება, გაწმენდა, გახმობა და დალაგებაც შეუძლებელია ბალღების და მოხუცთა თუ ქალთა ამარა.

ქართულმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ, აგრეთვე სომხურ და საიმპერატორო სამეურნეო დაწესებულებებმა, მეღვინეობის კომიტეტმა და სათავად აზნაურო საკრებულომ კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამაზე და დაუმტკიცონ, რომ სამხედრო ბეგრისგან განათავისუფლონ, ისინი რომელნიც ჭირნახულის გადამუშავებას, ექსტრაქტიულ მეურნეობას ეწევიან, ხოლო, როგორც „ნოვი ეკონომისტი“ მოითხოვს, ჯარში ჩვეულებრივი მეურნე ისე არ გაიყვანონ, რომ ეზოში მომუშავე არ დარჩეს.

დიდი შეცდომაა თითქოს ქართველი ხალხი მთელი წლის სარჩოს მხოლოდ ზაფხულობით აგროვებდეს. საქართველოს ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ფულის მეურნეობა არსებობის საფუძველს შედგენს, დღეს ქართველი მუშა კი შიმშილით მოკვდება, რომ ზამთრობით საკმაო ფულს არ შოულობდეს ტყეში მუშაობით, შეშის წარმოებით ან ქალაქად სამუშაო ძალის გაქირავებით.

როცა ცხოვრება საარაკოდ გაძვირდება...

# შავი მონასტერი.[*]

არასოდეს არ მქონია გული მხიარული,
დავალ ჩუმად თავდახრილი, დაუშრეტელ ვნებით;
ბედს მავიწყებს ფიქრთა ზღვაში ქროლა—სიარული,
დავალ ჩემთვის მობურვილი—იდუმალი ხმებით...

თვალს ვარიდებ გველ-მეგობრებს შხამით მოწამლული,
არ მახარებს მზის სიცილი, ყვავილების ფერი;
ვიწვი უხმოდ, ვიწვი ცივად, ბრბოით გარიყული.
არ ირღვევა შავი ბოღმის შავი მონასტერი ..

სასოებას არ უვლია ჩემი ცრემლის ველზე,
გულის სისხლის დენა არის ჩემი ჰანგთა მღერა
თვით შევსუდრე შვების სხივი სამკვდრო სარეცელზე,
თუმცა ძლევის ნათელ გვირგვინს ელის გულისძგერა...

არასოდეს არ მქონია გული მხიარული,
დავალ ჩუმად თავდახრილი დაუშრეტელ ვნებით;
ბედს მავიწყებს ფიქრთა ზღვაში ქროლა—სიარული,
დავალ ჩემთვის მობურვილი, იდუმალი ხმებით ..

კიკნა-ფშაველა.

[*] ეს ლექსი, რომელიც ნათლად ხატავს ავტორის სევდას, მოგვივიდა ორი კვირით ადრე, ვიდრე საზარელი ტრაგედია დატრიალდებოდა. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, კიკნა-ფშაველამ მოჰკლა თავისი ამხანაგი გ. ხერხეულიძე და მერე თითონაც თავი მოიკლა. **რედ.**

## საბრალო.

(სურათი ომის ამბებიდან).

ჩვენი ყურადღება ერთმა წითელ ჩოხა ახალგაზდამ მიიპყრო.

— გაუმარჯოს დიდ რუსეთს! გაუმარჯოს!! თქვით თქვენც: გაუმარჯოს დიდ რუსეთს და მის მოკავშირეებს! დიდი დაიყვირეთ!! დღეს, როცა ჩვენი ძმები ომის ცეცხლში არიან გახვეულნი და სისხლისაგან იცლებიან, ჩვენ, რომლებიც ვერ ვხედავთ ჩვენი საყვარელი ძმების გაჭირვებას, ვუსურვოთ მაინც მათ, ჩვენთვის მებრძოლთ, გამარჯვება! მაშ,— გაუმარჯოს ჩვენს მხედრობას! გაუმარჯოს! გაუმარჯოს!!—დაიყვირა და გადმოგვხედა. ჩვენ გულდათუთქული შევყურებდით ლამაც, სიცოცხლით სავსე ვაჟკაცს, რომელმაც არც კი იცოდა, რას ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა კი ყველაფერს, ყველაფრის შესახებ: ხან მიწას ახსენებდა, ხან ცას და მთვარე-ვარსკვლავთ; ხან კი მთელ მსოფლიოს, კაცობრიობას ზიზღით იხსენიებდა.

ბილეთი მოსთხოვეს.

— როგორ?! მე ბილეთს მთხოვთ? მე, რომელმაც დავიპყარი გალიცია, გავანადგურე ავსტრია, მოვსპე გერმანია—და გავამარჯვებიე ჩვენს მხედრობას მტერთა ზედა?! მე მთხოვთ ბილეთს, რომელმაც მოგაშორეთ თქვენ ყველას—კერძოთ კი შენ, რომ აყუდებულხარ

ორ საჟენზე მტრის რისხვა! რომ მე არა, ახლა ოსმალოთაგან აოხრებული იქნებოდით!!. უმადურებო!!. მე ბილეთი არა მაქვს და არც საჭიროა ჩემთვის ბილეთი, რადგანაც იმის ღირსი მაინც კი ვარ, რომ უფასოთ გადავყავდეთ მთელ იმპერიაში... შეხედეთ, შეხედეთ!! მთვარე და ვარსკვლავები ჩხუბობს, საშინელი ომია! გაიხედეთ სარკმელში,—როგორ შემორტყმიან მთვარეს ვარსკვლავები და ხმალ ამოწვდილნი, სიკვდილს უპირებენ! მთვარე კი შიშისაგან გაფითრებულა და კრთის!! მაგრამ, მთვარევ! ნუ გეშინია!! აი, მოვდივარ შენს საშველად და გწამდეს, დავამარცხებთ შენს მტრებს!..—მოტრიალდა, სწრაფად გაალო კარი და ვაგონის წინ გაჩერდა.

რამდენიმე კაცი გავყევით. გაზაფხულის მშვენიერი, წყნარი მთვარიანი ღამე იყო. ნელ სიოს ყვავილების ტკბილი სურნელება მოჰქონდა ჩვენამდი და გვატკბობდა. მატარებელიც ნელა მიდიოდა, თითქო იმისთვის,—დატკბენ ამ მშვენიერი მიდამოების ცქერითო.

— იცით, რა არის მთვარე და ვარსკვლავები?—არა, თქვენ არ იცით; მე გეტყვით: მთვარე მე გავაკეთე მიწისაგან, შევისროლე მაღლა და გაჩერდა. მერე ძირს ჩამოგდება მინდოდა: ავკრიფე ქვები, ვესროლე, მაგრამ ვერ მოვახვედრე: ქვებიც ცაში გაჩერდა და იქ ვარსკვლავებათ იქცა .. არიქა, მოდიან! ავსტრიელები და გერმანელები მოდიან დიდძალი ჯარით!! უნდათ შემუსრონ ჩვენი მხედრობა!.. მაგრამ... შესდექით მტარვალებო! მე ნებას არ გაძლევთ გაჟლიტოთ ამდენი ხალხი,—ხალხი, რომელსაც თავი მოძულებული არა აქვს, სიცოცხლე სწყურია! შესდექით!! განა ცოდვა არ არის სისხლს რომ ღვრით?! ურიებო, მხეცებო! მგლებო, ლომებო, ვეფხვებო, დათვებო!! გონს მოდით, გონს და გაიგეთ, რომ ადამიანის სისხლის დაქცევა ცოდვაა!!. შეჩერდენ, ნულა გეშინიათ!..

— ხეზე ჩიტი იჯდა. ვკითხე, თქვენც, ჩიტებიც, ღვრით ერთმანეთის სისხლს მეთქი? არაო, მითხრა. ჩიტები ერთმანეთს არა ვკლავთ, თუ გარეშე მტერმა—ქორმა ან კაცმა—მზე არ დაგვიბნელაო... მგელი მგლის ტყავს არ დახევსო—არ გაგიგონიათ ანდაზა? მგლები ერთმანეთს არ ხოცვენ, დათვები ერთმანეთს არაფერს არ უშავებენ, მაიმუნებიც კი ერთი არიან ჭირსა და ლხინში, ერთმანეთის სისხლს არ ღვრიან... ოსმალოს ჯარი მოდის, თათრები მოდიან, თათრები. . სურთ გაოხრონ ქვეყანა, ნამუსი ახადონ ქალებს, თავები დასჭრან კაცებს; სურთ ამოჟლიტონ ბავშები და მეოცე საუკუნის წითელი სისხლით შეღებონ—კაცობრიობის სამარცხვინოდ—ჩვენი ტურფა ქვეყანა... თათრებო, შესდექით!! შესდექით მეთქი! ჩვენც კაცები ვართ, თქვენისთანა კაცები! სრცხვილია კაცმა კაცის სისხლი დაღვაროს .. შესდექით!!! დაბრუნდენ! ნულა გეშინიათ, ქალებო!..

— კაიზერო! კაიზერ!! გავიგე შენა ხარ ამ ომის მიზეზი. ამიტომ უნდა მოკლა შემოვალ ბერლინში, გეწვევი სასახლეში და გამოგჭრი ყელს! ამიტომ გირჩევ-დღესვე თავი იზიარო, თვარა მერმე ველარ მოასწრებ... თქვენ, ეი! შემოაბრუნეთ მატარებელი და პირდაპირ ბერლინში!

„ნანინა, ნანინა, ოჲ ნანინა, ოდელია ნანინაო, ოუუ, ნანიინაოო“—ვიშ! რა კარგ ხასიათზე ვარ!!.

— მე ცხოველების ენა ვიცი ჩემმა მურიამ მკითხა გუშინ, მართალია—მთელი მსოფლიო ომობსო? კი, მაგრამ შენ საიდგან გაიგე მეთქი? მგელმა მითხრაო, ბრძოლის ველზე მიდიოდა ლეშისთვის... მაქსიმეს ცხენს ხუთი დღეა არაფერი უჭამია,—პატრონის სიკვდილი გაიგო და ჯავრობს...

— თავს უშველეთ ძმებო, თავს უშველეთ!! ავსტრიელები დაგვეცენ! საზიზღრები! გვხოცავენ! მოკლეს ერთი: კიდევ მოკლეს! კიდევ და კიდევ მოკლეს!.... ახლა ჩემსკენ მოდიან! რა საშინლად იტანჯება ხიშტზე წამოგებული კაცი!... მე ნუ მომკლავთ, ნუ! ამიქნიეს ხიშტი ამცდა!.. მე ნუ მომკლავთ, თვარა ჩემი ცოლი ჯავრისაგან მოკვდება! ჩემი შვილები შიმშილით დაიხოცებია! ოჯახი დამეღუპება! ნუ მომკლავთ, იწამეთ ღმერთი!! განა თქვენ არა გყავთ ცოლი, შვილები, ოჯახი? თქვენ თავზე წარმოიდგინეთ და მერე მომაკალით... გადავრჩი! ჩვენები გამოჩდენ. მტრები შეშინდენ და გაიქცენ.. აი, თქვე ქურდებო, თქვე ავაზაკებო, თქვე სათოკეებო! აბა, ბიჭებო, მომყევით! დავედევნოთ და ერთიც არ გავუშვათ ცოცხალი!.

— ვენაცვალე ჩემს ჭკუას! აბა თუ დაებადა ვისმეს თავში ჯერ ეს აზრი! დაგილიათ ყველას ხახა და ყლაპავთ ბუზებს!. მე, ჩემი ბრწყინვალე ჭკუით, გამოვიკვლიე, რომ მხეცი არ არსებობს! არის მხოლოთ ადამიანი, რომელიც სავსებით ამართლებს მხეცის თვისებას, და რომელიც მხეცზე უარესია. მართლაც: მხეცს აქვს ერთად ერთი საბრძოლველი იარაღი-კბილები და კლანჭები! კაცს კი?..- აუ! —ათასი!,. გადახედეთ აბა მიმდინარე ისტორიას!..

რებულია და სპეკულიაციის განსაზღვრა შეუძლებელი გამხდარა, ყველა უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მამაკაცები იძულებულნი იქნებიან გაცილებით მეტი ფული შემოიტანონ ოჯახში ვიდრე ჩვეულებრივ დროს შემოქონდათ, ე. ი. ამ ომის დროს მამაკაცებს ზამთრობით კიდევ მეტი საქმე და მოვალეობა აქვთ.

ჩვენ ვამბობთ და მოვითხოვთ ქართველ ქალთაგან რომ როგორმე დაიწყონ შედარებით უზრუნველი ცხოვრება და ყანებში მამაკაცთა მაგიერობა გასწიონ. ასეთი ქადაგება ჩვენი მოვალეობაა, მაგრამ არ უნდა მოვიტყუილოთ თავი უსაფუძვლო იმედით რაც უნდა ვიქადაგოთ და თავგანწირულება გამოვიჩინოთ, შეიძლება ქალები გავიდნენ ყანებში, შეასრულონ ოჯახის ყოველი მძიმე საქმე, მაგრამ მას გაუჭირდება და სრულიადაც ვერ შესძლებდა ოჯახის გარედ, უცხო ადგილებში და ქალაქებში გასვლას ფულის საშოვნელად. საამისოდ ისინი არც მომზადებული არიან, არც განვითარებულნი. ამ ობიექტიურ პირობებს ანგარიში უნდა გაუწიოთ.

——

„საქართველო„ ეხება არა მართლმადიდებელ ქართველთა საერთო ეროვნულ საქმიანობაში ჩაბმის საკითხს, და სხვათა შორის სწერს:

საქართველოს შინაგან ძალთა განვითარება და მთლიანი სახის აღდგენა მოითხოვს მეტს ყურადღებას განაპირა კუთხეთა ქართველობისადმი. ერს, რომელსაც სწყურია არსებობა და ამის ისტორიული უფლება მოეპოვება, ვერ შეუძლია გვერდი აუქციოს იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ სულიერ მატერიული კულტურისათვის თავის გამოდეგა და მისი განმტკიცება პირველ ყოვლისა საჭიროებს რიცხვს და მხოლოდ რიცხვს. რიცხვითი გაძლიერება და კულტურულად მოღონიერება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ყველა სარწმუნოების ქართველნი ერთ ჭერ ქვეშ იგრძნობენ თავს, დღემდე ჩვენ მოწამენი ვხდებით ერთი უცნაური მოვლენის. არამართლ-მადიდებელი ქართველნი ჰგოდებენ და სჩივიან თავიანთ ტკივილებზე, გარედან მოელიან ხსნას. ხოლო ნაკლებად სწარმოებს მუშაობა თვით მაჰმადიან-გრიგორიან-კათოლიკე-ისრაელთა შორის. ჩვენ ვიცნობთ ისრაელის ჩივილს, გვესმის და აღფთოვანებაში მოვყავართ კათოლიკეთა დაუფასებელ ღვაწლს ქართული ეროვნული იდეალის წინაშე, აგრეთვე ჩვენი ტრაგედიის კვანძს შეადგენს ხვედრი ქართველ მაჰმადიანებისა, მაგრამ რა? მხოლოდ გვესმის, ვიტანჯებით, ვბორგავთ. რაღაცა გვინდა გავაკეთოთ, დავცემთ ყიჟინას და შემდეგ კი ისევ გავჩუმდებით, მცონარეობას ვეძლევით და საკუთარ ჭირვარამში ვეფლობით რა უშველის ასეთ გაფანტულობა დაქსაქსულობას? ერთად ერთი იმედი ადგილობრივ კულტურულ ეკონომიური ხასიათის წრეთა დაარსებაა. საკმარისი არაა დრო გამოშვებით წერილების ბეჭდვა, არამედ მუდმივი ხელმძღვანელი ორგანოა საჭირო, რომელიც რეალ სამსახურს გაუწევს ადგილობრივ არა მართლმადიდებელ ქართველთა მრავალ კულტურულ-ეკონომიურ საჭიროებათ. ასეთი მუშაობა ჩვენში, ვგონებ, ახალი არ უნდა იყოს. როგორც ვიცით, „ბათომის გაზეთი“, რომელმაც გვერდი ვერ აუქცია აჭარელთა საკითხს და ბოლოს მთლად ამ საკითხის ეროვნული თვალსაზრით გაშუქების ორგანოდ გადაიქცა. სიღნაღში გამოდიოდა „ხმა კახეთისა“ და თუ მან ინგილოთა საკითხი ვერ ასწია სასურველ სიმაღლემდის, ეს, ალბად, საპატიო მიზეზებს მიეწერება. ერთ დროს ამბობდენ, რომ სოხუმში პატარა ქართული გაზეთის გამოცემას აპირობენო. რასაკვირველია ეს რომ მომხდარიყო, გაზეთი უეჭველად აფხაზთა საკითხის სამსახურს შეალევდა თავის ძალ ღონეს. თვით ქართლის გულში, გორში გამოდიოდა გაზეთი „ქართლი“, საიდანაც, როგორც ვიცით, სწადდათ სომხებს ქართული გრიგორიანებისა და ქართულად მოლაპარაკე სომხების გათვითცნობიერების საქმის დაწყება.

როგორც ვხედავთ, ყველა კუთხეში ყოფილა სურვილი ქართველთა სხვა და სხვა სარწმუნოების შტოთა გაერთიანება-გათვითცნობიერების საქმის ცენტრიდან ადგილობრივ პრაქტიკულ ნიადაგზე გადატანისა. როგორ მოხდება ეს: ცალ-ცალკე გაზეთის დაარსებით თუ კულტურულ ეკონომიურ ხასიათის ორგანიზაციათა შექმნით ადგილობრივ, ეს სულ ერთია—ოღონდ კი საძირკველი ჩაეყაროს არა მართლმადიდებელ ქართველთა შინაგან ძალების ამუშავებით ეროვნულ-კულტურულად გათვითცნობიერებასა და გაერთიანებას. ეს გაერთიანება უნდა მოხდეს ადგილობრივად ერთმანეთ შორის და შემდეგ დანარჩენ ქართველობასთან. თუ პრაქტიკულად არ ვსცადეთ მათი ადგილობრივ ეროვნულად დაახლოვება, თეორიულად მეტად ძნელია გაუნათლებელ ადამიანისათვის ერის ცნებაში რელიგიურ და ტომობრივი მომენტის ერთი მეორისაგან სასტიკად განსაზღვრა, გარჩევა. ეს ფრიად საძნელოა საშუალო განათლების ადამიანისათვისაც, ვინაიდან ჩვენ მოწამენი ვხდებით იმისა, თუ როგორ სომეხთა მოწინავე ინტელიგენცია არ არჩევს ტომობრივ და რელიგიურ მომენტს ერის ცნების დახასიათებაში და პრაქტიკულად ცდილობს ქართველ გრიგორიანების გასომხებას. სომხური ინტელიგენცია ერის ცნების განსაზღვრაში პირდაპირ ბარბაროსულ გზას ადგია. ასეთივე და უარესი იქნება სომხის დაბალი წრეები, ვინაიდან ეს უკანასკნელნი მთლად სომხის ინტელიგენციის მაჩანჩალანი გამხდარან. სწორედ ამიტომ არის საჭირო არა მართლმადიდებელ ქართველებში არ ჩაეწვეთოს შხამიანი აზრები ეროვნული ცნების ყალბად გაგებისა. ქართველმა ინტელიგენციამ სისწორით გაიგო ცნება ეროვნული, ხოლო მდაბიო ხალხისათვის საჭიროა თვით ცხოვრებაში იხილოს ცხოველმყოფელობა თეორიულ ალსარჯებით სწორი დებულებისა. ქართულ კულტურულ-ეკონომიური ხასიათის ორგანიზაციათა შექმნა აფხაზეთში, საინგილოში, აჭარაში და ქართველ ისრაელთა სამყოფელო ადგილებში, ოსების ქართველობასთან დაახლოვება, ქართველ გრიგორიანების ბეჯითად მოქცევა და ყველა ამ საქმის თბილისის ცენტრიდან პერიფერიებში გადატანა, ასეთია ერთად-ერთი სწორი შეხედულება მომავალ მუშაობაზე საქართველოს განაპირა კუთხეებში. ომის შემდეგ ვიგრძნობთ, თუ რა საშინელი მსხვერპლი გავსწირეთ და ამიტომ ადრევე უნდა შევუდგეთ მზადებას, რომ არც ერთი ქართველი, სადაც უნდა იყოს იგი, არ უნდა დარჩეს ეროვნულ ბჭეს გარეშე და აგრეთვე კარგად გაიზიაროს ხვედრი თავის საერთო სამშობლო საქართველოსი

# ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

✧ ქუთაისში ამ მოკლე ხანში მოელიან პროფესორ ბიკტორ ბრუნს, რომელიც ბელგიის სამთამადნო კავშირმა ქვიათურის და სხვა სამრეწველოების დასათვალიერებლად გამოგზავნა კავკასიაში.

✦ რედაქციამ მიიღო ახალგაზრდა მწერლის ს. ერთაწმინდელის ახალი ერთ მოქმედებიანი დრამა ,,დაჭრილი ორბი‘‘. წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს 20 კაპ.

### თ ბ ი ლ ი ს ი.

— საქართველოს ეგზარხოსი საზაფხულოდ ბორჯომს გაემგზავრა.

— თბილისის ქართული გაზეთების რედაქციაში მომუშავენი ჯარში გაწვევისაგან გაუნთავისუფლებიათ.

— ახალგაზრდა კომპოზიტორს რ. დ გოგნიაშვილს უკვე დაუმთავრებია ახალი ოპერა „ქრისტინე“ ეგ. ნინოშვილის მოთხრობის შინაარსზე დაწერილი.

— „თანამედ. აზრის“ თანამშრომელი ნოე ხომერიკი ამ ორი დღის წინად დააპატიმრეს და ეხლა უკვე ციხეში ჩაუსვამთ.

### დ. ს უ რ ა მ ი.

— აქ ჩვენი ნიჭიერი მსახიობი ვ. შალიკაშვილი მძიმე ავად გამხდარა. მზრუნველობას შალვა დადიანი უწევს. შალიკაშვილს არავითარი სალსარი არა აქვს და დახმარებას საჭიროებს.

# ივერიის ეკლესია.

ქართულმა პრესამ ამ ბოლო დროს, მიმართულების განურჩევლად, ივერიის ეკ. თავისუფლების მოპოვებას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია. ბ. ობერ პროკურორის საქართველოში ჩამოსვლას ამ პრესამ საგანგებო წერილები უძღვნა და ყველამ ივერიის ეკ. განკურნებისათვის ავტოკეფალიის საჭიროება აღიარა, რომლის მოპოვებისთვისაც, უმთავრესად, სამღვდელოებამ უნდა იზრუნოს, რასაკვირველია, სხვასთან ერთად.

თავის თავად იბადება საკითხი დაკისრებულ მოვალეობას განა შეასრულებს ჩვენი სამღვდელოება? ვინც დანამდვილებით ჩვენ სამღვდელოებას იცნობს, სამწუხაროდ, წინააღმდეგში უნდა დარწმუნდეს.

ქართველი სამღვდელოება იმდენ ფხას და უნარს ვერ გამოიჩენს, რომ ავტოკეფალიის საქმეში წინამძღვრობა იკისროს. აი რატომ. უპირველეს ყოვლისა ავტოკეფალიის მოპოვებისათვის ეროვნული შეგნებაა საჭირო და ეროვნული იდეიის შეგნების მხრით ქართველი სამღვდელოება სამ ჯგუფათ განიყოფება. პირველ ჯგუფს დამსახურებული და ჩინორდენებით შემკული სამღვდელოება ეკუთვნის სამღ-ს ამ ნაწილს ავტოკეფალობა დიდათ არ ეპრიანება. ამ ჯგუფის ერთმა წევრმა ერთხელ ასე ბრძანა ,,ივერიის ეკლესიის თაკისუფლების დროს მღვდლები ქალამნებით დადიოდნენო და ეხლა აპოიკების წაღები აცვიათო‘‘. ამ სიტყვებიდან ის სჩანს, რომ დღევანდელი ეკ. მართვა გამგეობიდან უფრო მეტს გამოელის ეს ჯგუფი და ვინც მეტს აძლევს ის უყვარს და ეროვნული იდეია ბევრათ არაფრათ [illegible]. მეორე ჯგუფს ახალგაზდა სამღვდელოება ეკუთვნის, რომელიც [illegible] მოძრაობის შემდეგ არის ნაკურთხი, საუბედუროთ ამ ჯგუფს ეროვნული მისწრაფებისაკენ სწავლა-განათლება ხელს არ უწყობს, იმიტომაც არ არის გამორკვეული თუ რა არის ავტოკეფალია და ეროვნული იდეა, მაშასადამე ამ ჯგუფის იმედებიც, როგორც პირველის, დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. დარჩა მესამე ჯგუფი სამღვდელოების. ამ ნაწილს უმთავრესად უჩინ-ორდენო სემინარიაში კურს დამთავრებულები შეადგენენ. სამღვდელოების ეს ნაწილი მკვირცხლი და ფხიზელია და ყოველივე ღირსებით შემკულია, თუ ოდესმე რამე ან დალაპარაკებულა და ან გაკეთებულა ავტოკეფალიის სფეროში ამ ჯგუფის წყალობითაა ყოველისფერი, მხოლოდ, საუბედუროდ, ეს ჯგუფი შინაურებისა და გარეულებისაგან დევნას განიცდის და რაოდენობითაც მცირეა. ამ ჯგუფს ამხანაგობა საერო წოდების პირებთან უფრო უხერხდება მინამ თავის თანამწირველებთან.

მაშ, ვისი იმედი დაგვრჩენია, რომ ჩვენი მრავალ ტანჯული ეკლესია განკურნოს? როგორც ძველ დროში ისე ეხლაც სასულიერო საქმეების მომწესრიგებელი ჩვენი მღვდელთ-მთავრები იყვნენ და არიან. ჩვენი ეკლესიის განკურნება მათ უნდა იდვან თავზე, ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზმა გიორგიმ, ქუთაისში ახლად ჩამოსულ ბ. ობერ პროკურორს, თავის სიტყვაში ნათლად აგრძნობინა ავტოკეფალიის საჭიროება და თუ სხვა მღვდელთ-მთავრებიც ასე მოიქცევიან, საერო წოდების დახმარებით საქმე უსათუოდ გაიჩალხება და ჩვენი ეკლესია თავისუფლად ამოისუნთქავს.*)

მ. ბუაჩიძე.

# პროვინციის ცხოვრება.

**სოფელი ტყიბული.** არ ვიცი თუ სადმე კიდევ მოიპოვება ასე უპატრონოთ მიგდებული როგორიც არის ტყიბულის ბაზარი არავითარ სავაჭროზე აქ ნიხრი არ არსებობს და მადა გახსნილი ვაჭრები ტყავს აძრობენ ისედაც გალატაკებულს ხალხს ყველაფერს ისე ყიდიან, როგორც მათ სინიდისი აძლევს ნებას, რა კი კოპერატივს სიმინდი გამოელია მაშინვე სიმინდის ფასს აუწიეს ცხრა აბაზ-ორ მანეთამდი ხორცი ოყა მანეთი ღირს ისიც ხშირათ უვარგისი გამომცხვარი პურზედ აბა ნიხრს ვინ დაგიდევს ისიც ხშირად უვარგისია მაგრამ ნიხრზე ხმის ამოღებას ვინ გაბედავს, რადგანაც თვალყურს არავინ ადევნებს და ვაჭრებიც თვის ნებაზე იქცევიან. ამიტომ კარგი იქნება ვისგანც ჯერ არს ყურადღებას მიაქცევდეს და ალაგმავდეს ამ თავ გასული ვაჭბატონებს ამას წინათ ფუთში სამ გირვანქას წონაში იპარავდენ, კიდევაც ფაქტიურათ დაუმტკიცეთ, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. ისევ ის.

——

**დ. ჩ ხ ა რ ი.** სამკალი ბევრია, ხოლო მუშაკნი არცერთიო“, სწორედ ამ დაბის შესახებ შეიძლება ითქვას. ერთი წუთი მოცლა არა აქვთ, რომ საზოგადო საქმეებზეც იზრუნონ, სულ საქმეში არიან გართული... მუდამ: დღე, ღამე, დილას, საღამოს სულ კარტ ნარდ-ბაქარას თამაშობენ!

როცა გ. ქ-მ ამოიკითხა გაზეთში სამკითხველოს სასარგებლოდ გამართული წარმოდგენის დროს მეორე ოთახში კარცს თამაშობდენო, სთქვა: ვის რა უნდა? ზოგს წარმოდგენა ეინტერესება, ზოგს თამაში. რაც მინდა, როგორ დამიშლიანო?

მომხმარებელ საზოგადოებას აარსებენ (ეს აქაურ მოთამაშე ინტელიგენციის მეცადინეობით კი არა!). ხალხი სიამოვნებით ეწერება; სასურველია მეთაურებმა დააჩქარონ—დროით დაიწყოს კოოპერატივმა მოქმედება.

ჩხარ—ზესტაფონ-ქუთაისს შორის მიმოსვლა მეტათ გაძნელებულია. ზესტაფონამდი ფაიტონი ორ მანეთს იღებს სულზე, ზოგჯერ 10-12 მანეთ ნაკლებ არ მიდის. დელიჟანი არ მუშაობს. თუ შეიძლებოდა მოწყობა მოგებაც ექნება პატრონს. ახლა ფაიტონის სიძვირის გამო ბევრი ფეხით და ცხენით სვირით, ხან ახალ სოფლით მიდის ქუთაისში, მაშინ 60კ.—80კ. (მანათსაც) სიამოვნებით გადიხდიან, არც მედელეჟნე წააგებს, ხალხიც კმაყოფილი იქნება. მაგრამ კოსტა ყურულიშვილს რა ენაღვლება: ორ ფაიტონს ამუშავებს, დღეში 30—40 მანეთს აკეთებს, კაციც არაა ნიხრი დაუწესოს, ფასი დააკლებიოს.

*) ჩვენ-კი გვგონია, რომ ქართველებსა და საქართველოს ყველა საქმეებს ეშველება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი მმართველი ხალხი ქონებრივად და გონებრივად მოღონიერდება და წელში ევასწორდება. რდ.

——

— მართალია, ამბობთ ჩემზე—სულელიაო; რაც ომიდან დაბრუნდა მერმე თავის ჭკუაზე აღარ არისო. მაგრამ ნუ გეშინიათ, თქვენთან არ მოვალ ჭკუის სასესხებლათ! მართლა სულელები!!. მე გამოვიკვლიე, რომ ჩვენს დედამიწას შეუძლია ასაზრდოვოს რაც დღეს მცხოვრებია, ათასი იმდენი! და რაკი სიცოცხლესთან ერთად სიკვდილიც არსებობს, მიწაზე ამდენი არ მოიყრის თავს. კაცმა მხოლოდ უნდა გაავითარს თავისი ნიჭი ბუნებასთან ბრძოლაში და გამოიყენოს ბუნების მკვდარი ძალები თავის სასარგებლოთ... მაგრამ ესეც უნდა გითხრათ, რომ დედამიწა დაბჟენილია ქალის ქუდის ქინძისთავის წვერზე! თუ ქალმა გაგვიმეტა და თავი ცუდათ შეანძრია, თქვენი მტერი დავიღუპებით! ამიტომ ყველა შეევედრეთ ქალებს—არ დაგვღუპოს. ქალი გულჩვილი არსებაა და უსათუოდ შეისმენს თქვენს თხოვნას...

მატარებელი სადგურთან შეჩერდა. ყმაწვილი ძირს ჩავიდა წყალის დასალევათ.

— ამას სვამთ, ამას? აბა ჩახედეთ შიგ! —სისხლი!! ეს რისგან არის იცით? დახოცილთა სისხლით მიწა გაიჟღენთა, ჰამდისაც მოაღწია და ჩადგა ჰაში... არიქა, მოდიან, მოგვდევენ! ჩქარა წაიყვანეთ მატარებელი, ჩქარა!! თუ დაგვეწიენ, დაგვხოცვენ და მე ველარ გიშველით!

— კაიზერ, მოვდივარ, თავი იზიარე.

მატარებელი დაიძრა. ყმაწვილი კიდევ არ ცხრებოდა.

— ზიზღი შენ, წუთისოფელს! ზიზღი შენ, ადამიანო!! ზიზღი შენ, მთლად კაცობრიობავ რადგანაც ვერ შეძელი დღემდი ჩაგექრო ომის კოცონი!!! და რას გავხარ დღეს, კაცობრიობავ?!—პირველ ყოფილ ველურებს!... სირცხვილი შენი, სირცხვილი!!

— მოკალით, აკუწეთ! აკუწეთ, მოკალით! მოკალით ეგ ავსტრიელი! მაგან მოკლა ჩემს თვალწინ ორი ჩემი ამხანაგი! მეც მაგან მომკლა!... აი, მაგრე! იკურთხოს თქვენი ხმალი!.. თქვენი გამჩენის ჭირიმე, თქვენი!.. გესმით ხალხო, გესმით? ცაში ბაასია. ლაპარაკობენ დღევანდელ მდგომარეობაზე მამა, ძე და სული-წმინდა, მამამ არ იცის რა ქნას. ძე მზად არის წამოვიდეს და კიდევ დასთხიოს სისხლი, რათა გამოისყიდოს კაცთა დანაშაული. სული წმინდა კი მტრედის ფრად მოფრინავს, რათა ეწვიოს რჩეულებს, გარდაქმნას კაცის მხეცური ბუნება...

— შენ, ბებერო დედაკაცო! სულელურათ სჯი, როცა გიკვირს, რათ აკლავენ თავს ერთმანეთს ამდენი სახელმწიფოებიო. ყანა-ეზოების საზღვარზე განა ერთმანეთის სისხლს არ ვაქცევთ? განა იშვიათია ერთი დედის შვილთა შორის მკვლელობა? მაშ რათ ამტყუნებ სხვადასხვა დედათა შვილებს, როცა ესენი ერთმანეთს ხოცავენ, აყენებენ სისხლის მდინარეებს, აჩენენ ლეშის მთებს! რათ ამტყუნებ მხეცებს. როცა ისინი ამ ლეშით იკვებებიან?! ლეში ხომ უნდა დალპეს, და უმჯობესი არ არის მითი ცოცხალმა არსებამ ღონე მოიკრიბოს!..

— მე გუშინ მაცხოვარი გამომეცხადა და მითხრა: შენ გაინტერესებს იცოდე, სანამდი იქნება კაცობრიობა ამ ყოფაში. მე გეუბნები, იქნება მანამდი, სანამ ადამიანის გული ისე არ გარდიქმნება, რომ ცხოველებიც კი არ შეეცოდება... ძმებო, ერთობა და სიყვარული ჩაუნერგეთ ყრმებს გულში! აკვანშივე დაუწყეთ ბავშებს წვრთნა-სწავლება, რომ კაცი კაცის ძმა არის, რომ ერთმანეთი უნდა გიყვარდეთ, რომ სისხლის დაღვრა, კაცის სისხლის დაღვრა მიუტევებელი დანაშაულია. ჩააგონონ ყმაწვილებს როგორ მოაწყონ თავისი ცხოვრება... საზიზღარო, საზიზღარო! დამეხსენი, დამეხსენი! ნუ მომკლავ, ნუ მკლავ! მე მყავს მამა, დედა, ცოლი, შვილები—ნუ მომკლავთ! არ შეისმინეს... მომკლეს!.. მშვიდობით! არც ისე საშიშარი ყოფილა სიკვდილი!..

— აი, მე უკვე გავცოცხლდი! საიქიოს ვიყავი. ვნახე ჩვენი მეფეები. თამარი მწარეთ სტირის ომში მოკლულთ. დავით აღმაშენებელს შავები ჩაუცვამს და საქართველოს ბედს გლოვობს... დაწყევით ყველანი, დაწყევით!. ყუმბარებს ისვრიან, ტყვია წვიმასავით მოდის. ინგრევა საუკუნოებით ნაშენი ქალაქები, გაფუჭდა ნამუშევარი, იწვება სახლ-კარი... ბარბაროსებო! ნუ ანგრევთ! ნუ აოხრებთ ყველაფერს! ნუ ანადგურებთ კაცთ საცხოვრებელს, ნუ ყრით მცხოვრებთ ცის ქვეშ, უბინაოთ, რადგანაც კაცს მხეცივით ტყეში ცხოვრება არ შეუძლია და სირცხვილიც არის კაცობრიობისთვის ადამიანი პირველყოფილ მდგომარეობას დაუბრუნდეს. არ გესმით ჩემი, თქვე, ძაღლის წიწილებო, თქვენა? შეჩერდით თვარა მე ვუბრძანებ თქვენს ტყვის ფრქვეველ-ზარბაზნებს ტუჩი თქვენსკენ მოაბრუნონ და თქვენვე გაგჟლიტონ!.. ნეტავი შემეძლოს!..

— ხუთი ქვეყანაა: აზია, აფრიკა, ევროპა, ამერიკა და ავსტრალია. ერთიც კიდევ არის, მეექვსე რომელიც მე აღმოვაჩინე დღენახევრის მოგზაურობის შემდეგ —ქვეეთი. ქვეეთი არის მეტად მდიდარი!.. სამოთხესა გავს. ცხოვრობს ზედ ხუთას ოთხმოცდა ასი მილიონი. მცხოვრებლები განირჩევიან ჩვენგან სარწმუნოებით, ზნით და ხასიათით... ვისაც არ მოგწონთ ეს ქვეყანა,-არც მოსაწონია ¢ გირჩევთ გადასახლდეთ ქვეეთში!..

— ჩემისთანა გონიერი, მეცნიერი ნეტა კიდევ ყავდეს კაცობრიობას!.. ორი ვართ მხოლოთ, მე და ჩემი ცოლი! ორი, ოდელია, ორი, ოდელია, ოოოდელია, დელია, დელია, ნანა დელიააა ოო. ნეტა თქვენც ჩემისთანა კარგ გუნებაზე იყოთ...

ამასობაში მივედით ს-ეში გადმოვედით გადმოვიდა ყმაწვილიც.

— მომართვით ეტლი!-...—არავის მოყავს... ჯანდაბას თქვენც და თქვენი ეტლიც... რომელი ეტლი გამასწრებს?! აჩუ! აჩუ, აჩუ! აჩუ!.. დაიქნია ხელები და მოკურცხლა...

——

კიდევ შევხვდი ამ ყმაწვილს ს-ეში. დუქნის წინ იჯდა და ერთ წერტილს თვაულებლათ დაცქეროდა. უცებ მოწყდა ადგილიდან—თავს უშველეთ! მოგვდევენო—დაიყვირა და დაეშვა მდინარისკენ, დაედევენ დასაჭერათ, წყალში არ დაირჩისო, მაგრამ ვერ მოასწრეს. მალე ყმაწვილი ტალღებს ებრძოდა. ზედათ მდინარე არ იყო მოდიდებული. გადახტენ და გადაარჩინეს.

„ოორი და დელა! აბა დელი დელა“! —ნელი ტაშის კვრით, და ცეკვით მოგვიახლოვდა ვიღაცა ქალი. თურმე ამ ყმაწვილის ცოლი იყო.

შედგნენ.

— თამრო შენა ხარ?

— გრიგოლ, შენა? ძლივს გიცანი... როგორ გაწუნწულხარ! ხომ არ დაგცხო? —გენაცვალე ყანყრატოში!.. ერთმანეთს ხელი გადახვიეს და წავიდნენ.

საიდგანღაც ორი ბავში გამოძვრა, მთლად ტიტვლები.

— დედა!—დაედევნენ მიმავალ ცოლქმარს...

მე ველარ გავუძელი ასეთ სურათს და თვალი ავარიდე...

ამის შემდეგ დიდი ხანია და არ ვიცი რა შეემთხვათ უბედურებს.

გერასიმე გაფრინდაშვილი.

2 მანეთი 20—22 ვერსტზე გაგონილა? რაკი ადგილობრივ არ ჩნდება მედელეჩნე გარეშე მაინც რომ მოვიდოდეს, ვფიქრობ არ წააგებს...

შინა კაცი.

### ჩვენი ფოსტა.

**ფოთი ბ-ნ ისარს** თქვენი წერილიც არ დაიბეჭდება, ამავე მოსაზრებით, რაც ბატონ „მათრახს" მოვახსენეთ.

**ფოთი ბ-ნ მათრახს** თქვენი წერილი, რომელშიაც თქვენ გულის წყრომას უცხადებთ ბ ნ ხ შვილს ორის რაბინის ბ-ნ ბააზოვის წინააღმდეგ გამოლაშქრებისათვის, არ **დაიბეჭდება.** მეტად დიდი შესწორება სჭირია, თქვენი წერილის ყველა დებულებანი და მაგალითებ, რომლებითაც თქვენ სცდილობთ ბ ნ ხ-შვილს დაუმტკიცოთ რომ ის **ებრაელია** შთამამავლობითაც, უკვე აღნიშნული ჰქონდა თვით ბატონ ბააზოვს თავის საპასუხო წერილში, რომელიც „სამშობლოში" **დაიბეჭდა.**

**ფოთი ახალ-გაზდა ებრაელს** თქვენი წერილი, რომლითაც ურჩევთ ქართველ ებრაელთა ახალგაზდობას **არ ასიმილიატორებს,** არ დაიბეჭდება. ეს საკითხი ბატონმა ბააზოვმა უკვე გაარკვია და თქვენ კი ახალს არას ამბობთ.

**ქუთაისში ბ-ნ გ. ფიჩხაძეს** თქვენი წერილი ბ-ნ ბააზოვის წინააღმდეგ არ დაიბეჭდება, რადგანაც იგი განმეორებაა იმისი, რაცა სთქვეს და დასტამბეს ბბ-ნმა ი. ხ შვილმა და მიხ. **ხანანაშვილმა.**

## უკანასკნელი პასუხი ბ-ნ გ. იმნაიშვილს.

(შემდეგი, იხ. „სამშ." № 416)

თუ რა საბუთები წარუდგინე რედაქციებს, ეს იქიდან სჩანს, რომ მართლაც რედაქციის წევრები დარწმუნდნენ, რომ იმნაიშვილი განზრახ ცრუ ცნობებს ავრცელებს გოგებაშვილის სახელმძღვანელოების შესახებ, ამიტომაც იმნაიშვილის არც ერთს წერილს ამ საკითხის შესახებ გაზეთის ფურცლებზე არ აჭაჭანებენ. ასეთი მეგობარია იმნაიშვილი გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისა.

ბ-ნი იმნაიშვილი წარბ-შეუხრელად განაგრძობს „რუსკოე სლოვო", რომელსაც გასწორებულად სთვლის ბ-ნი ბოცვაძე ძირითად შესწორებას საჭიროებს. ამას, სხვათა შორის, ამტკიცებს მოთხოვნა (9, 11 და 12 ივნისის სხდომაზე,) როგორც წერაკითხვის სკოლების, ისე სხვა მასწავლებლებისა („სამშ." № 390)

ხელში გვაქვს 9, 11 და 12 ივნისის კრებების ოქმები. 9 ივნისის ოქმი ეხება მხოლოდ „დედა-ენის" I ნაწ. შესწორების საკითხს, 11 ივნისისა „დედა-ენის" II ნაწილს. 12 ივნისის კრებაზე ბ ნი იმნაიშვილი თხოულობს „რუსკ. სლ." I ნაწ. განხილვას და შესწორებას. „კრება ამას ხმის უმეტესობით უარჰყოფს". რომ გოგებაშვილის „რუს. სლ." I ნაწილი არ ვარგათ იმნაიშვილის მოაზრეთ გამოდის ქალაქის სკოლის ერთი მასწავლებელი თაბუკაშვილი. იგი ამბობს: ანბანის შემდეგ ვიხმაროთ პირდაპირ II ნაწ. „რუს. სლ." მე „რუს. სლ." I ნაწ. სრულიად არ ვხმარობ, ანბანს ვასწავლი სომხის მასწავლებლების მიერ გამოცემულ ყველა ეროვნებისათვის შედგენილის რუსულ წიგნში, ჯერ არ მოწონებულს მთავრობისაგან და ამ ანბანის შემდეგ პირდაპირ გადავდივარ „რუს. სლ." II ნაწილზე; „რუს. სლ. I ნაწილს არავითარი კავშირი არ აქვს დედა-ენასთანო. „სცადონ სოფლის მასწავლებლებმა, იქნებ I ნაწ. „რუს. სლ." გამოტოვება საჭიროდ დაინახონო". „თაბუკაშვილის წინადადება აღშფოთებას იწვევს ყველაში" (ოქმი 12 ივნისისა).

აი როგორი მასწავლებლის ჩვენებაზე ამყარებს თავის პასუხს ბ-ნი იმნაიშვილი. როცა ბ ნ თაბუკაშვილს ყველა დამსწრე მასწავლებლებმა ბურთი ჩასჩარეს პირში, ბ ნ იმნაიშვილს მისი მეგობრის საწინააღმდეგოდ კრინტიც არ დაუძრავს, რადგანაც როგორც იმნაიშვილი, ისე თაბუკაშვილიც, ორი წლის წინად უკვე შეძლებისდაგვარად გასწორებულს „რუს. სლ." I ნაწილის უვარგისობას უვიცობით აღიარებენ.

როცა პირველი შესწორების შემდეგ, რომლის შესახებ ქვემოდ გვექნება მსჯელობა, „რუს. სლ." I ნაწილი 8000 ცალით მეტი ვრცელდება წინანდელთან შედარებით, ეს უტყუარი საბუთია იმისი, რომ მას სკოლებიდან კი არ სდევნიან, არამედ დღევანდელი „რუს. სლ." I ნაწილი გაცილებით სჯობიან წინანდელს; თუმცა შესწორება კიდევ ესაჭიროება, მაგრამ არა ისეთი აჩქარებული როგორც სექციის ზოგიერთმა წევრებმა მოინდომეს და როგორც იმნაიშვილს მიაჩნია საჭიროდ.

ბ-ნი იმნაიშვილი დობე-ყორეს ედება და საბრაზით არ იცის რა ჭქნას. იმ კონფლიკტის შემდეგ, რომელიც ჩვენ შორის მოხდა მუდამ „რუს. სლ." ელანდება თვალწინ მასწავლებელთა კრებაზედაც, თუ საკითხი ეხებოდა სხვა საგანს, ის მაინც „რუს. სლ."-ით დაიწყებდა. ერთი სიტყვით „რუს. სლ." დიდ ფიქრად გადაექცა და ხშირად არც კი ესმის, თუ რას ამბობს.

არ ვიცი რა საბრალდებულო საგანია ჩემთვის ნინიძის ნათქვამი. ან ვინ დაიჯერებს იმას, რომ ნინიძე ყოფილი გამგეობის წევრი და გამომცემელი სექციის თავჯდომარე იტყოდა იმას, თითქოს „გამგეობამ ბოცვაძეს მიანდო გოგებაშვილის სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობა და სექციასთან რა გინდათ მას მიმართეთო". პატრონი და მომვლელი საზოგადოების ქონებისა მისი გამგეობაა და ეს რომ ასეა, სწორედ გამგეობამ მიანდო ორ სექციას იმ საკითხის გამორკვევა ქუთათურებთან ერთად თუ რამდენად სასურველი და სასარგებლო იქნებოდა სახელმძღვანელო წიგნების ბეჭდვის გადატანა ქუთაისში. ეს განცხადება ბ ნი ნინიძისა თუ მართალია, ყოველ შემთხვევაში ოფიციალურ სხდომაზე, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, ნათქვამი არ ყოფილა და არც ოქმშია შეტანილი, კერძოთ ვინ რა სთქვა, ან გ. მაჭავარიანი ქუჩაში რას ელაპარაკებოდა იმნაიშვილს, ეს არც საბუთია და არც ვისმესთვის საინტერესო.

რაც შეეხება ბ-ნი იმნაიშვილის განცხადებას — რამდენიმე კვირის წინად ბ დ. კარიჭაშვილის, ი. ვართაგავას, თ. კიკვაძის შეკითხვაზე ეს „ფაქტები" აღდგენილ იქმნაო („სამშ." № 390), ასეთი რიხიანი დასკვნა ჯერჯერობით ნაადრევია, რადგანაც მსჯავრი გ. იმნაიშვილის საქციელის შესახებ დასახელებულ გამგეობის წევრებს ჯერ არ გამოუტანიათ და იმათაც რომ აღადგინონ ეს ვითომდა „ფაქტი", იგი მე არ მეხება. ეს მხოლოდ იმნაიშვილის ერთი უძლური საშუალებანია, იხმაროს ყოველგვარი ზომა მოპირდაპირის წინააღმდეგ, ოღონდ კი დანაშაულობის სია გაზვიროს.

ბ-ნი იმნაიშვილი ცდილობს დაარწმუნოს საზოგადოება, ვითომც მე ამტეხოს რაღაც კინკლაობა ორ სექციის შორის და ისიც პირადი ინტერესების გულისთვის მთელი გამგეობა, გამომცემელი სექციის თავმჯდომარეები არ. ჯაჯანიშვილი, შემდეგ ნინიძე და ყველა წევრები სასკოლო სექციისა გარდა გ. იმნაიშვილისა იმ აზრისანი იყვნენ, რომ სახელმძღვანელო წიგნების სწორება და გამოცემა სასკოლო სექციის საქმე იყო. გარასიმე იმნაიშვილი კი არ ეთანხმებოდა სხვებს და ემხრობოდა გამომცემელი სექციის ზოგიერთ წევრებს, რომელთაც უნდოდათ სახელმძღვანელოების გამოცემაც მათ ხელში გადასულიყო. შარშან 22 იანვრის სექციის სხდომაზე ბ-ნმა გ. იმნაიშვილმა შეკითხვა შემოიტანა სასკოლო სექციაში, ვისი უფლებაა სახელმძღვანელო წიგნების გამოცემაო.

სექციამ დაადგინა: „თანახმად ინსტრუქციისა და გამგეობის დადგენილებისა, როგორც შესწორება და დამზადება სახელმძღვანელო წიგნებისა, ისე გამოცემა მათი შეადგენს სასკოლო სექციის პირდაპირ მოვალეობას". ამ დადგენილებას ხელს აწერს ყველა სექციის წევრი, არ ეთანხმება მარტო გ. იმნაიშვილი. როცა ნინიძე ქალაქიდან წავიდა და მის ადგილზე მოწვეული იქმნა კანდიდატი ბ-ნი თ. კიკვაძე, ამ უკანასკნელმა აღძრა საკითხი გამგეობაში სახელმძღვანელოების ბეჭდვის გადაცემის შესახებ გამომცემელი სექციისადმი. გამგეობამ მიიღო ეს საკითხი იმ პირობით თუ მეთვალყურეთ ბეჭდვის დროს სასკოლო სექცია იქნებოდა; გამგეობის ამ დადგენილების შესახებ სექცია ამ 3 ენკენისთვეს. 1915 წ. ასეთი დასკვნა გამოიტანა: „თანახმად 19 მაისის დადგენილებისა სახელმძღვანელოების გამოცემა გადაეცა გამომცემელ სექციას, ხოლო ხელმძღვანელობა, სექციის აზრით იმან უნდა იკისროს, ვინც თვალყურს ადევნებს გამოცემის ტეხნიკურ მხარეს, ამიტომ სასკოლო სექციას შეუძლებლად მიაჩნია რაიმე ხელმძღვანელობა გაუწიოს გამომცემელ სექციას". ამას დაეთანხმა გამგეობაც და მოინდომა სახელმძღვანელოების გამოცემის საქმე სასკოლო სექციისათვის დაებრუნებია. სასკოლო სექციამაც ბ-ნის ი. ზურაბიშვილის თავმჯდომარეობით 1915 წლის 12 ნოემბერს დაადგინა შეტანილი იქმნეს ინსტრუქციაში გარკვევით რომ სახელმძღვანელოებს სასკოლო სექცია სცემსო ამას ხელს აწერს ბ ნი იმნაიშვილიც. ეს აზრი გამგეობამაც დაამტკიცა და საზოგადო კრებამაც მიიღო. განა აქედან სჩანს, რომ ორ სექციის შორის რამე კინკლაობა მე ჩამომეგდოს? ცხადად სჩანს, თუ ვინ ეწეოდა კინკლაობას და აზრის მერყეობასაც ვინ იჩენდა მე თუ ბ-ნი გ. იმნაიშვილი.

დიდი გულთა მხილავი უნდა იყო ადამიანი, რომ ჩემს ცხრა წლის ზედიზედ მუშაობაში ქ. შ. წ. კ. საზოგადოების გამგეობაში ვინმე რამე პირად ინტერესს ხედავდეს

განა მუდამ წელს რომ ჩავკირკიტებ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს, შეძლებისა და გვარად მეტად თუ არა, არა სხვაზე ნაკლებ ვმუშაობ ამ დარგში სრულიად უსასყიდლოდ და ჯილდოდ-კი იმნაიშვილების მსგავსთაგან დანძღვა-კრულვას ვღებულობ და ძვირფას დროს კინკლაობაში მართმევენ, თვით მიწვევენ საპასუხოდ, ეგ პირადი ინტერესების გამოა? ან რა ჯილდოს მაძლევს სხვა ვინმე ამ შრომაში, რომ პირადი ინტერესები მიტაცებდეს; მე კი ვერ შევადგენდი რომელსამეს სახელმძღვანელო წიგნს და ამ ცოდნას, გამოცდილებას და ჩემ მიერ შეკრებილ მასალებს, რომელთა რიცხვი აუარებელია „რუსკოე სლოვოს" ორსავე ნაწილში და „დედა ენის" I ნაწილში ჩემსავე სასარგებლოდ ვერ მოვიხმარდი? მიაქციეთ ყურადღება თუ რამდენად ვრცელდება გოგებაშვილის სახელმძღვანელოები მოთხოვნილება შესწორების შემდეგ და დარწმუნდებით, რომ დიდი გულღვარძლიანი უნდა იყოს ადამიანი, რომ ჩემს მუშაობას წერა-კითხვის საზოგადოებაში ან სხვაგან სადმე პირადის ინტერესით ხსნიდეს. ესეც ბ-ნი იმნაიშვილის მიერ განზრახ შეთხზული ცილისწამება გახლავთ.

ბ-ნი იმნაიშვილი თავის ნათქვამს, მის მიერ დაწერილსა და დაბეჭდილსაც ივიწყებს ხშირად და რა გასაკვირველია, რომ სხვისი ნათქვამიც სწორად ვერ გადმოგვცეს. ბ-ნი იმნაიშვილი „თანამედროვე აზრი" (№109) წერდა: „ერთმა საუკეთესო წევრთაგანმა ბ. იაშვილმა ვერ მოითმინა ამნაირი **დამცირება** (ხაზი ჩემია) და წევრობას თავი განება". ამაზე უპასუხებდი მე არავინ დამიმცირებია მეთქი. ახლა კი ბ-ნი იმნაიშვილი ნიშნის მოგებით გვიპასუხებს „განა ბოცვაძემ ვინ უნდა დაამციროსო". ასეთია ბ ნი იმნაიშვილის ლოდიკა! მაგრამ საქმე თურმე ის ყოფილა, რომ შალვა ქარუმიძეს და ს. იაშვილს იმიტომ დაუნებებია თავი სექციის წევრობისათვის, რომ „ბოცვაძესთან მუშაობა არ შეიძლებაო" („სამშ". №391). რატომ ანგარიშს არ უწევს ბ-ნი იმნაიშვილი სხვა სექციებს; განა იქ თავი სხვას არ დაუნებებია, ან ზოგიერთს სექციებში არის ვინმე უკვე, თუ სრულიად მოსპობილია. ნუ თუ იქაც წევრების თავის დანებების მიზეზნი იმ სექციების თავმჯდომარენი არიან! არა, ბატონო, ყველას ნება აქვს თავი დაანებოს მუშაობას, როცა არ სურს, მაგრამ ბრალს პიროვნებასთან ადგილი არ უნდა ჰქონდეს. იმნაიშვილი ცილს სწამებს ბ-ნ შ. ქარუმიძეს, როცა მის დამცველად გამოდის, ქარუმიძეს თამამად შეუძლია აღიაროს ის, რასაც ფიქრობს, მას მოქალაქობრიული ძალა საკმაოდ შესწევს და სხვის გამოსარჩლებას არ ინდომებს. პირადად შ. ქარუმიძესთან არავითარი საწყენი რამ არ შეგვმთხვევია. მდივნად იყო სექციაში არჩეული, ძალიან ხშირად აკლდებოდა კრებებს, შემდეგ განცხადება შემოიტანა დრო არა მაქვს და განმათავისუფლეთო. აი ეს იყო მიზეზი ქარუმიძის წასვლისა, რასაც თვითონ ქარუმიძე და სხვებიც აღიარებენ და არა იმნაიშვილის ზღაპარი. ქარუმიძის ნაცვლად მოწვეული იქმნა მეორე პედაგოგი, არა ნაკლები პედაგოგი ბ-ნი გ ნათაძე, ასე რომ ქარუმიძის წასვლით სექციიდან, სექციის საქ საქმეებს არა დაჰკლებია რა.

ლ. ბოცვაძე.

(დასასრული ხვალ).

### წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

(იხ. „სამშობლოს" № 398)

გთხოვთ დამიბეჭდოთ ეს წერილი „Leus" საპასუხოდ. თავის საპასუხო წერილში ბრალსა მდებს პირადად მე როგორც წვრილი კრედიტის ამხანაგობის თავჯდომარეს იმაში, რომ ვითომც გამგეობა ხსენებული ამხანაგობისა ხელს არ უწყობდეს კულტურულ დაწესებულებას, როგორიც არის მაგალითათ, ლაილაში წიგნთ საცავ სამკითხველოს და სხვა...

მაგრამ რა შუაში ვართ პირადად ან მე და ან გამგეობა, თუ კი ჩვენთვის საზოგადო კრებას არ დაუვალებია რომელიმე ფუნქციის ასრულება?

მართალია წარსულ წელში ბანკმა გაუწია დახმარება ლსილაშის სამკითხველოს 172 მ. 16 კაპ მაგრამ წელს კი საზოგადო კრებამ დაადგინა მთელი მოგება გადაიდოს სამეურნეო იარაღების შესაძენად. და რა ნება გვქონდა ან მე და ან გამგეობას ეს დადგენილება დაგვერღვია?

ბ. „ლეუსი", სხვათა შორის, იხსენიებს ვითომცდა წინა წლებში სამკითხველოს ნამყოფ ბინაში მხოლოთ ერთი დამტვრეული ზანდუკი იდგეს და მე მაინც უნდა განვაგრძობდე ბინის ქირის ძლევას და ამნაირად თაყვანსა ვცემდე მხოლოდ ძველ ალაგს, რომელი გარემოებითაც თვით სამკითხველოს არსებობას ხელს უნდა უშლიდე. არ ვიცი რად დასჭირდა ბ. ავტორს ასეთი ფრაზების წამოსროლა!

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ბანკის ხარჯით არის ერთი ოთახი ნაქირავები, რომელშიაც წინათ სამკითხველო იყო მოთავსებული, ამაზე მოგახსენებთ, რომ ხსენებული ოთახში ბანკს მხოლოთ დამტვრეული ზანდუკი არა თუ უდგია, არამედ ხსენებული ზანდუკი სავსებით ემსახურება თავის დანიშნულებას და სამი კლიტით დაკეტილი ინახავს ყოველივე ძვირფას საბუთებს ამხანაგობისა, და თუ წინა წერილში მქონდა აღნიშნული რომ ბანკს აქვს ნაქირავები ოთახი სამკითხველოსათვის მეთქი, ეს მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ თუ წინათ სამკითხველო თავსდებოდა ამ ოთახში, ახლაც შეეძლო მოთავსება, ვინაიდგან ბანკის გამგეობას კვირაში ერთხელ აქვს დანიშნული ოპერაცია თავის საქმეების საწარმოებლად და ასეთი ოპერაციის წარმოებით ბანკი სამკითხველოს ხელს არ შეუშლიდა თქო; და რომ ეს ჩემი გამოთქმული აზრი სავსებით ასე არ ყოფილიყო, აბა რომელი სულელი ადამიანი გაიღებს უმნიშვნელოთ სასყიდელს იმაში, რაც მას არ სჭირია?..!

ცოტა ხნით წარმოვიდგინოთ ხსენებული ბანკის გამგეობის უმოქმედობა, რომელიც ხელს არ უწყობს კულტურულ დაწესებულებას, მარა ბ. ავტოროგანა შესაძლებელია წარმოდგენის ადამიანმა ისეთი გარემოება, რომ რამოდენიმე პირიდგან შემდგარს გამგეობას ექნას იმდენი გავლენა მთელს 202 ამხანაგობის წევრებზე, სადაც ყოველივე კაპეიკების გაცემა თუ არა გაცემა თვით მათ, საერთო მწევრებს ეკუთვნის გამონაკლისმა პირებმა თავიანთი გავლენით ყველა კეთილი სურვილები საერთო წევრებისა დაჰგმოს და თავიანთი პრინციპები გაატარონ?!

დასასრულს ბ. „Leus" რომ ყოველივე სინამდვილე მკაფიოდ ახსნილი იქნეს გთხოვთ დამეთანხმოთ შემდეგზე!

არჩეულ იქნეს ორივე მხრიდან სამი კაცი, რომლებსაც მიენდოს მოწვევა საზოგადო ლაილაშის წვრილი კრედიტის ამხანაგობის კრებისა ამ ორი კვირის განმავლობაში, დღიდან ჩემის წერილის გამოქვეყნებისა და [illegible] ყოველივე შესახებ პირადათ ჩემის მოქმედების და კერძოთ ახალი გამგეობის შესახებ. ჩვენის [illegible] რომ სამკითხველოს [illegible] თვით კრებამ არ იხება სხვა რამეში ფულის გაღება?

განმარტება კრებისა უნდა იქნეს გაზეთებში გამოქვეყნებული, ხოლო თუ თქვენ აღნიშნული დროის გამავლობაში ამ ჩემს წინადადებაზე არ დამეთანხმებით, იმ შემთხვევაში თქვენს უსაფუძლო ჩემდამი ბრალდებას ეწოდება ის, რისი სახელის ღირსაა.

დ. ლაილაშის წვრილი კრედიტის ამხანაგობის თავჯდომარე

კ. ბერუჩაშვილი.

— —

S. P. ვთხოვ პატივცემულს რედაქტორს უმორჩილესათ ეს წერილი თავისივე შესწორებით მორიგს ნუმერში დამიბეჭდოს.

პატ. კ ბერუჩაშვილი.

რედაქტორი **ი. ციხცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო"**




### რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 25 წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის — | 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 „ |
| შორაპნიდან | — დილის — | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის — | 11 ს. — „ |
| „ | — ღამის — | 12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის — | 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. 8 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის — | 6 ს. 30 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 „ |

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

## ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

## საღი კუჭი!

## ქელაბარი ექ. ვეზისა.

ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ყაზბობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული ყაზბობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის დებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემორისა, იწვევს სისხლის მოწამვლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. ყაბზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ყაბზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **ქელაბარი** ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაკვის მასსას, ასაღებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ყაბზობისაგან. **ქელაბარი** სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჭიუტ ავათმყოფობისაგანაც კი. პრეპარატ **ქელაბარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებით ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი **ქელაბარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთს და რუსეთში. იყიდება „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში" და ქუთაისში **ა. პ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

ქელაბარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი.

9 (წლიური)